583
965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის**

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები

№ 23 (292) 20 აგვისტო 1965 წელი

4774

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### ნაწილი I

### განყოფილება პირველი

468. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ.

469. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. შვედოვის განთავისუფლების შესახებ.

470. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. თ. პალამარჩუკის დანიშვნის შესახებ.

471. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. დ. იაკოვლევის განთავისუფლების შესახებ.

472. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. თ. ნიკოლაევის დანიშვნის შესახებ.

473. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ე. ნესტერენკოს განთავისუფლების შესახებ.

474. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ვ. დეგტიარის დანიშვნის შესახებ

475. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ვადის შესახებ.

### განყოფილება მეორე

476. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. ზაიცევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

477. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. გ. შლიახუს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

478. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. გრიგორენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

479. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ი. ილიჩოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

480. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ი. ი. ლობოდას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

481. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. კუჩმინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნე-
ბის სიგელები გადასცა სომალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა
ოსმან ახმედ ჰასანმა.

საინფორმაციო ცნობა სსრ კავშირსა და კანადას შორის დადებული სავაჭრო შეთანხმე-
ბის მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის შესახებ.

საინფორმაციო ცნობა ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა სოცია-
ლისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ირანის შაჰინშაჰის მთავრობას
შორის დადებული შეთანხმების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება პირველი

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 468 სოფლად მცხოვრები მოსწავლეების უფასოდ მგზავრობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებისა და საბიუჯეტო კომისიების წინადადება სოფლად მცხოვრებ მოსწავლეთათვის სკოლამდე და უკან უფასო მგზავრობის შემოღების შესახებ.

2. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს გადაწყვიტონ ის საკითხი, რომ 1965 წლის 1 სექტემბრიდან ყველგან შემოღებულ იქნეს რეგულარული უფასო მგზავრობა სკოლამდე და უკან საცხოვრებელ ადგილამდე დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, და უზრუნველყონ საჭირო ღონისძიებათა გატარება მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ფარგლებში.

მოსწავლეთა უფასოდ გადაყვან-გადმოყვანის ორგანიზაციის დროს გამოყენებული უნდა იყოს სამარშრუტო ავტობუსები, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა ტრანსპორტი, საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლები, აგრეთვე კოლმეურნეობათა სატრანსპორტო საშუალებანი.

3. მიღებულ იქნეს ცნობად სსრ კავშირის გზათა სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ 1965 წლის 1 სექტემბრიდან სოფლად მცხოვრებ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის შემოღებული იქნება უფასო მგზავრობა სკოლამდე და უკან საცხოვრებელ ადგილამდე საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 9 ივლისი.

№ 3699-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 469 მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ა. შვედოვის განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსი ალექსის ძე შვედოვი მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 22 ივლისი.
№ 3795-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 470 მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლ. თ. პალამარჩუკის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლუკა თომას ძე პალამარჩუკი მაროკოს სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 22 ივლისი.
№ 3796-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 471 ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. დ. იაკოვლევის განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ დანილას ძე იაკოვლევი ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 ივლისი.
№ 3799-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 472 ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. თ. ნიკოლაევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვასილ თევდორეს ძე **ნიკოლაევი** ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 23 ივლისი.
№ 3800-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 473 პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. ე. ნესტერენკოს განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ალექსი ეფრემის ძე **ნესტერენკო** პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 აგვისტო.
№ 3832-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 474 პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მ. ვ. დეგტიარის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ ვასილის ძე **დეგტიარი** პაკისტანში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 აგვისტო.
№ 3833-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 475 ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების ვადის შესახებ

ითვალისწინებს რა ლიტვის სს რესპუბლიკის, ლატვიის სს რესპუბლიკის და ესტონეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების წარდგინებებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს მე-4 მუხლი კანონისა „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ დაევალოთ ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს გადაწყვიტონ ის საკითხი, რომ სწავლების ვადა გადიდდეს თერთმეტ წლამდე იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომლებშიც სწავლება მიმდინარეობს ლიტვურ, ლატვიურ, პოლონურ და ესტონურ ენებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 12 აგვისტო

№ 3838-VI.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 476 ამხ. ვ. მ. ზაიცევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სკკპ წევრი 1905 წლიდან ამხ. ვლადიმერ მიხეილის ძე ზაიცევი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 აგვისტო.

№ 3834-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 477 მწერალ ს. გ. შლიახუს „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოლდავური საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი სამსონ გერშის ძე **შლიახუ** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 აგვისტო.
№ 3835-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 478 ამხ. ა. ს. გრიგორენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით უკრაინის კპ ჩერნოვცის ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსი სიმონის ძე **გრიგორენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 10 აგვისტო.
№ 3836-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 479 ამხ. ი. ი. ილიჩოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, 3 ევროპული განყოფილების გამგე ამხ. ივანე ივანეს ძე **ილიჩოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 14 აგვისტო.
№ 3839-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 480 ი. ი. ლობოდას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომბინატ „კარაგანდაუგოლის“ № 22 შახტში ავარიის ლიკვიდაციისა და მეშახტეთა გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისათვის იგორ ივანეს ძე **ლობოდა** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 14 აგვისტო.
№ 3840-VI.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 481 ამხ. მ. თ. კუჩმინის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. მაქსიმე თევდორეს ძე **კუჩმინი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 14 აგვისტო.
№ 3842-VI.

## განყოფილება მესამე

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნების სიგელები გადასცა სომალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ოსმან ახმედ ჰასანმა

საბჭოთა კავშირს ჩამოსულმა სომალის რესპუბლიკის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ოსმან ახმედ ჰასანმა 2 აგვისტოს კრემლში თავისი რწმუნების სიგელები გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩევლები მ. ბურალე ისმაილი, მ. ა. ომარი და სავაჭრო მრჩეველი მ. მაო ჰასანი.

ა. ი. მიქოიანმა და ო. ა. ჰასანმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, რომლებშიც აღნიშნეს, რომ სომალის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ემყარება ურთიერთპატივისცემის, თანასწორუფლებიანობის და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის მტკიცე საფუძველს და რომ ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა ერთნაირად ესწრაფვის მშვიდობას და გადაჭრით ილაშქრებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს კოლონიალიზმის და მისი ყოველგვარი გამოვლინების ლიკვიდაცია.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ო. ა. ჰასანს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

## საინფორმაციო ცნობა

## სსრ კავშირსა და კანადას შორის დადებული სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადის გაგრძელების ოქმის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედების ვადა გაუვიდა საბჭოთა კავშირ-კანადის სავაჭრო შეთანხმებას, დადებულს სამი წლით 1956 წლის 29 თებერვალს ოტავაში და გახანგრძლივებულს 1963 წლის 17 აპრილამდე 1960 წლის 18 აპრილს ხელმოწერილი ოქმით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და კანადის მთავრობამ, რომლებსაც სურთ ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე შემდგომ გაზარდონ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის მოცულობა და გააფართოონ მისი ნომენკლატურა, 1963 წლის 16 სექტემბერს ოტავაში ხელი მოაწერეს ოქმს, რომ 1963 წლის 18 აპრილიდან სამი წლით გაგრძელდეს აღნიშნული შეთანხმების მოქმედების ვადა მე-9 მუხლის გამოკლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ოქმის რატიფიკაცია მოახდინა 1963 წლის 11 ნოემბერს; კანადის მთავრობამ — 1965 წლის 29 მარტს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 12 მაისს. ოქმი დროებით ძალაში შევიდა ხელმოწერის დღეს და საბოლოოდ — სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

ოქმის ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 5 აგვისტოს № 30 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## საინფორმაციო ცნობა

## ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ირანის შაჰინშაჰის მთავრობას შორის დადებული შეთანხმების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ირანის შაჰინშაჰის მთავრობამ, რომლებიც ემყარებიან მხარეების სურვილს განავითარონ სსრ კავშირისა და ირანის ურთიერთობა მეგობრული და კეთილმეზობლური სულისკვეთებით, ხელმძღვანელობენ ურთიერთმისწრაფებით განავითარონ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა, დამყარებული ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარის თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის სრული პატივისცემის პრინციპებზე, და იმ მიზნით, რომ მხარდაჭერა ჰქონდეს ირანს მისი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში, 1963 წლის 27 ივლისს თეირანში დადეს შეთანხმება ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეთანხმების რატიფიკაცია მოახდინა 1963 წლის 15 ნოემბერს; ირანის მეჯლისმა და სენატმა — 1965 წლის 14 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა მოსკოვში 1965 წლის 25 **ივნისს.**

შეთანხმება დროებით ძალაში შევიდა ხელმოწერის დღეს და საბოლოოდ — სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს.

შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნებულია 1965 წლის 5 აგვისტოს № 30 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში".

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მეირმეობის, ნადირთმოშენებისა და სამონადირეო რეწვის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 499 საუკეთესო მეირმე, ნადირთმომშენებელი და მონადირე.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებული არიან: ევენკთა ეროვნული ოკრუგის კოლმეურნეობა „ვერნი პუტის" მონადირე ვ. ი. ბუხარევი, ტაიმირის ეროვნული ოკრუგის კოლმეურნეობა „ზარია ტაიმირას" მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი ლ. პ. ვენგო, ზღვისპირეთის მხარის მეირმეობის საბჭოთა მეურნეობა „მაიხეს" მელიების ფერმის ბრიგადირი მ. ა. კრიუკოვი, ხაბაროვსკის მხარის კოლმეურნეობა „25 ლეტ ოკტიაბრიას" მეირმეობის ფერმის გამგე პ. კ. კირიმეისკი, ამურის ოლქის სარეწაო-სამონადირეო არტელ „ლენინ ოკტონის" გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. კუკლევი, ნენთა ეროვნული ოკრუგის საბჭოთა მეურნეობა „კოლგუევსკის" მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი ა. ა. არდეევი, ირკუტსკის ოლქის კატანგის ნადირთმოშენების კოოპერაციული სარეწაო მეურნეობის მონადირე პ. პ. პიკუნოვი, კორიაკთა ეროვნული ოკრუგის პენჟინსკის მეირმეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. დ. დავიდოვი, კორიაკთა ეროვნული ოკრუგის ტიგილის სახელმწიფო სამონადირო-სარეწაო მეურნეობის მონადირე ბ. ი. მირონოვი, მაგადანის ოლქის კოლმეურნეობა „პუტ ლენინას" მონადირე ი. ვ. ხურკანი, მურმანსკის ოლქის კოლას ნადირთმოშენების საბჭოთა მეურნეობის წაულას ფერმის ბრიგადირი მ. ი. იუშინი, სახალინის ოლქის ჩრდილოეთ სახალინის ნადირთმოშენების კოოპერაციული სარეწაო მეურნეობის მონადირე ა. კ. მალიგინი, ტომსკის ოლქის კოლპაშევოს ნადირთმოშენების კოოპერაციული სარეწაო მეურნეობის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირე ი. ა. ჟუკოვი, იამალის ნენთა ეროვნული ოკრუგის საბჭოთა მეურნეობა „მუჟევსკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი ი. ს. არტეევი, ტიუმენის ოლქის ტობოლსკის ნადირთმოშენების საბჭოთა მეურნეობის ნადირთმომშენებელი ე. პ. ტოჩილინა, ჩიტას ოლქის კოლმეურნეობა „კრასნი ოხოტნიკის“ მონადირე-მეირმე ი. პ. უნაულოვი, ბურიატეთის ასსრ კოლმეურნეობა „ზავეტი ლენინას“ მეირმეობის ფერმის ბრიგადირი ჟ. ი. მოლოკოვი, კარელიის ასსრ საჯიშე ნადირთმოშენების საბჭოთა მეურნეობა „პოვენეცკის“ წაულას ფერმის ბრიგადირი ლ. ე. ნოსოვა, კომი ასსრ კოლმეურნეობა „ზავეტი ილიჩას“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი ა. ა. არტეევი, იაკუტიის ასსრ საბჭოთა მეურნეობა „ოლენეკსკის“ მეირმეობის ბრიგადის ბრიგადირი ხ. ი. მატვეევი, იაკუტიის ასსრ საბჭოთა მეურნეობა „სრედნეკოლიმსკის“ მონადირე პ. პ. ოკონეშნიკოვი და სხვები, სულ 47 კაცი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 70 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 100, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 140 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 142 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ

### რ ს ფ ს რ

**მუშათა ახალშენების გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით კიროვის ოლქის ბელოხოლუნიცკის რაიონის მუშათა ახალშენი ბელოხოლუნიცკი გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და დაარქვა მას **ბელაია ხოლუნიცა.**

* *
*

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულებით მურმანსკის ოლქის კოლას რაიონის მუშათა ახალშენი კოლა გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინის სსრ

### დაბების გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად

ლვოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ჟიდაჩოვის რაიონის დაბა ნოვი-როზდოლი გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად.

*

*     *

დონეცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქებად გარდაქმნა შემდეგი დაბები:

კრასნოარმეისკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დიმიტროვო და დაერქვა მას **დიმიტროვი**;

ენაკიევოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს იუნოკომუნაროვსკოე და დაერქვა მას **იუნოკომუნაროვსკი**.

ამავე გადაწყვეტილებით არტემოვსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დაბები ბელოკამენსკოე და კარლო-ლიბკნეხტოვო გააერთიანა ერთ დასახლებულ პუნქტად, ამასთან გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და დაერქვა მას **კარლო-ლიბკნეხტოვსკი**.

*

*     *

ლუგანსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა 1965 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით გააერთიანა კრასნი ლუჩის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დაბები ნოვოპავლოვკა და შტერგრესი ერთ დასახლებულ პუნქტად, ამასთან გარდაქმნა რაიონული დაქვემდებარების ქალაქად და დაერქვა მას **მიუსინსკი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები**

№ 23 (292) 1965 წ. 20 აგვისტო

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი.

ფასი 10 კაპ.

**ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ**

**№ 23 (292) 20 августа 1965 г.**

**Издатель — Президиум Верховного Совета ГССР**

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели, 8. Дом Правительства.

**ЦЕНА 10 КОП.**

ქაღალდის ზომა 7 X 108, დაბეჭდილი თაბახი 1,0,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-65 წ.

შეკვეთა № 1105 ტირაჟი 2100

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР.